ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები

სტუდენტების გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში მიღებული განათლების ხარისხის შესახებ კმაყოფილების განსაზღვრა და სხვადასხვა სერვისის შეფასება. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტი იყო რაოდნობრივი კვლევის კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 837-მა სტუდენტმა. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2019 წლის 9 დეკემრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი შედეგები

სტუდენტები უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, კვლევითი, კულტურული, სპორტული თუ სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას ძირითადად თსუ-ს ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტისა, LMS ანგარიშისა და თანატოლების მეშვეობით იღებენ.

სასწავლო გარემოს შეფასებამ გამოავლინა, რომ სტუდენტების კმაყოფილების დონე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, სწავლების ხარისხთან, სწავლების პორცესში გამოყენებულ სასწავლო მასალასთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან, შეფასების ობიექტურობა-გამჭვირვალეობასთან და სტუდენტების მხარდამჭერ სერვისებთან მიმართებით საშუალოზე მაღალია.

2018 წლის მაჩვენებლებთან შედარებით გაუმჯობესებულია ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების დონე.

უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია სტუდენტების ნახევარზე მეტის (54.8%) მოლოდინებთან, ხოლო სრულიად შეესაბამება 27%-ის მოლოდინებს. სავარაუდოდ სწორედ ამიტომ, გამოკითხულთა 41,8% სწავლის გაგრძელებას კვლავ თსუ-ში აპირებს. დაახლოებით 57,9% კი - სხვა აბიტურიენტებსაც ურჩევდა თსუ-ში ჩაბარებას.

დემოგრაფიული ნაწილი:

კვლევაში მონაწილე 837 სტუდენტიდან 27% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 73%-მდედრობითის. გამოკითხულთა 93% 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თავსდება, ხოლო 7% 25 წელს ზემოთაა.



გამოკითხულთა 76% ბაკალავრიატის, 15% მაგისტრატურის, 6% ერთსაფეხურიანი, ხოლო 3% დოქტორანტურის სტუდენტია.



ფაკულტეტების მიხედვით ყველაზე მაღალი აქტივობის დონე დაფიქსირდა მედიცინის ფაკულტეტზე (28%), რომელსაც მოსდევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (23%). ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15%-მა. თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ იურიდიულ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს (13% და 12%), რომელთაც მოსდევს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი 9%-ით, ხოლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 3%-ით.



1. მიღებული განთლების დონით კმაყოფილება

როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში მიღებული განათლების დონით კმაყოფილება საშუალოზე მაღალია. შეკითხვაზე „საერთო ჯამში, შეესაბამება თუ არა უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები თქვენს მოლოდინებს?“ დათანხმება-არდათანხმების სკალაზე სტუდენტთა 27,1%-მა დააფიქსირა „დიახ“ პასუხი. მეტ-ნაკლები შესაბამისობა დაფიქსირდა 54,8%-ის, ხოლო არ შეესაბამება დაფიქსირდა 18%-ის შემთხვევაში.

შეკითხვაზე „გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას“, გამოკითხულთა 41,8% გეგმავს თსუ-ში; 6,3% - სხვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; 26,7% სწავლის გაგრძელებას გეგმავს საზღვარგარეთ, ხოლო არ გადაუწყვეტია 23,6%-ს. გამოკითხულთა 1,4% არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას.

ასევე, პოზიტიურია სტუდენტთა პასუხი შეკითხვბაზე ურჩევდნენ თუ არა თსუ-ში ჩაბარებას სხვა აბიტურიენტებს, სადაც გამოკითხულთა 57,9% დადებით პასუხს აფიქსირებს.

2. სასწავლო გარემოს შეფასება

კვლევაში გამოყენებული კითხვათა ჯგუფით სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ სასწავლო გარემო. სახელდობრ, შეკითხვები შეეხებოდა სალექციო განრიგის (ცხრილი) განაწილებას, სასწავლო კურსებში თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შეფასებას, სასწავლო მასალის აქტუალობას, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, შეფასების გამჭვირვალეობას/ობიექტურობას, სწავლების ხარისხს, პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციასა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. გარდა ამისა, სტუდენტების მიერ შეფასდა აუდიტორიების,

კვლევითი ლაბორატორიების და უცხოური ენების კაბინეტების ტექნიკური აღჭურვილობა, უნივერსიტეტში არსებული კარიერული სერვისები, უნივერსიტეტში არსებული სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები და სხვ.

სწავლების ორგანიზებასთან დაკავშირებით კვლევამ გამოავლინა შემდეგი პოზიტიური ასპექტები:

- სტუდენტთა 41,5% თვლის რომ მათი სპეციალობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო კურსებს საათების ადეკვატური რაოდენობა ეთმობა;
- 41,9%-ის აზრით თეორიული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს;
- გამოკითხულ სტუდენტთა 58,18% ფიქრობს, რომ ლექტორის კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია, რასაც ასევე მეტ-ნაკლებად ეთანხმება 16,8%;
- ასევე დადებითად შეფასდა 55,7%-ის მიერ ლექტორების მზადყოფნა სტუდენტების კონსლუტირებისა და მხარდაჭერის მიზნით;
- გამოკითხულთა 43,4% თვლის, რომ სასწავლო მასალა სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია. აღნიშნულ მოცემულობას მეტ-ნაკლებად იზიარებს 20.78%;
- მოცემულობას „სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა“ ეთანხმება 48,6%, ხოლო მეტ-ნაკლებად ეთანხმება 15.7%;
- გამოკითხულთა 45% თქმით, უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების მხარდადამჭერი სხვადასხვა სერვისი (სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტება და ა.შ.).

3. ინფორმირებულობის დონე და ინფორმაციის მიღების წყაროები

სტუდენტებს უნდა დაესახელებინათ ძირითადად რა საშუალებებით იღებენ ინფორმაციას:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შესახებ;
- არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათების შესახებ;
- უნივერსიტეტში შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძებების შესახებ.

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითად წყაროებს შორის შედარებით მეტად თსუ-ს ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა ან LMS ანგარიში, სხვა თანატოლები/სტუდენტები და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ფიგურირებს. საშუალოდ ინფორმაცია ზემოაღნიშნული სერვისების შესახებ არ მიუღია გამოკითხულთა 14%-ს.

კერძოდ:

- სასწავლო პროცესის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითად წყაროდ თსუ-ს ვებ-გვერდი, ელექტრონული ფორტა ან LMS ანგარიში დააფიქსირა გამოკითხულთა 87%-მა, თანატოლები - 23%-მა, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცია 21,6%-მა. უნივერსიტეტის

ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები დააფიქსირა გამოკითხულთა 20%-მა, ხოლო ინფორმაცია არ მიუღია გამოკითხულთა 2,5%-ს;

- არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ, გამოკითხულთა უმრავლესობა - 59% ინფორმაციას იღებს ინტერნეტიდან, 13,8% სხვა სტუდენტებისგან, 20,9% უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან, ხოლო ინფორმაცია არ მიუღია გამოკითხულთა 19,4%-ს.
- მსგავსად ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათების, ისევე როგორც უნივერსიტეტში არსებული შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძებების შესახებ სტუდენტთა დიდი ნაწილი ინფორმაციას იღებს ინტერნეტის საშუალებით (46.11% და 55.8%). ასევე ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოდგენს სხვა სტუდენტები (13.14% და 31.18%), ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (24.2% და 20.78%). ინფორმაცია აღნიშნული სერვისების შესახებ არ მიუღია დაახლოებით 20%-ს.

4. საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება

თსუ-ს ბიბლიოთეკის სხვადასხვა რესურსებით და მომსახურებით კმაყოფილების დონეც საშუალოზე მეტია. წინა წლის მონაცემებისგან განსხვავებით დაბალი შეფასების ველში არ მოქცეულა არც ერთი კომპონენტი. კერძოდ, თუ 2018 წლის მონაცემებით წიგნების გატანის შესაძლებლობა (Mean=2.8 - 5 ქულიან სკალაზე) შეფასდა ნეგატიურად, 2019 წლის მაჩვენებლებით აღნიშნული სერვისი შედარებით გაუმჯობესებულია (Mean=3.1- 5 ქულიან სკალაზე). ასევე, მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ბიბლიოთეკაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის (წიგნები და ელექტრონული მასალები) შეფასებისას (Mean=3.8).

რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებით და მომსახურებით?	საშუალო მაჩვენებელი (Mean)
ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (წიგნები და ელექტრონული მასალები)	**3,8**
უცხო ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა	**3,7**
ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა	**3,9**
წიგნის გატანის შესაძლებლობა	**3,2**

აღსანიშნავია, რომ გასაუმჯობესებელ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების შესახებ, რადგან გამოკითხულ სტუდენტთა 19,5%-ის მიხედვით ისინი არ ფლობენ ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების შესახებ.

5. ვის მიმართავენ სტუდენტები, თუ სწავლის პროცესში რაიმე პრობლემა წარმოიქმნება?

როგორც კვლევამ აჩვენა შემთხვევათა 21,1%-ში სტუდენტები არ მიმართავენ არავის. ამგვარ ქმედებას რამოდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს: ინფორმაციის არქონა (შემთხვევათა 23,3%), პრობლემის საკუთარი ძალებით მოგვარება (შემთხვევათა დაახლ. 24,4%), შემთხვევათა 22,6%-ში კი გამოიკვეთა ნიჰილისტური დამოკიდებულება (აზრი არ ჰონდა მიმართვას/არ მქონდა იმედი, რომ პრობლემის აღმოფხვრაში დამეხმარებოდნენ), ხოლო გამოკითხულთა 10,1% ფიქრობს, რომ შეიძლებოდა გავმხდარიყავი გულგრილი დამოკიდებულების ობიექტი.

პრობლემის მოსაგვარებლად მიმართვის შემთხვევაში, ძირითადი ადრესატები არიან: სხვა სტუდენტები/ჯგუფელები (შემთხვევათა 37,2%), რომელიმე საგნის პედაგოგი (შემთხვევათა 35,2%), სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი (შემთხვევათა 34%), ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი (33,1%), საგამოცდო ცენტრი (30,4%), საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი (17,3%). დანარჩენი "ადრესატების" ხვედრითი წილი უმნიშვნელოა.

დახმარებისთვის ამა თუ იმ პირისადმი/სტრუქტურული ერთეულისადმი მიმართვის შემთხვევაში სტუდენტების 42.2% მიუთითებს პრობლემის სრულად მოგვარების შესახებ. 39.2% - ნაწილობრივ გადაჭრის შესახებ, ხოლო 18,6% აფისქსირებს, რომ ამა თუ იმ პირისადმი/სტრუქტურული ერთეულისადმი მიმართვის მიუხედავად, პრობლემა არ მოგვარებულა.

6. რამდენად კარგად იცნობთ ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებს/პროცედურებს:

	საერთოდ არ ვიცნობ	**ნაკლებად ვიცნობ**	**გარკვეულწილად ვიცნობ**	**კარგად ვიცნობ**
თსუ წესდება	37.8%	28.5%	28.4%	8.24%
ეთიკის კოდექსი	30.1%	23.1%	32.9%	13.7%
თსუ შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები	30.1%	26.3%	29.7%	13.8%
სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი	17.8%	18.7%	31.9%	31.5%
კრედიტების აღიარების წესი	20%	15.4%	31.9%	32.6%
მობილობის წესი	25.6%	24%	28.4%	22%
გამოცდების ჩატარების წესი	6.2%	6.6%	29.1%	58%
აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები	23.8%	21.3%	29%	26%

7. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი (პრობლემა), რომლებიც სტუდენტთა აზრით პირველ რიგში უნდა მოგვარდეს უნივერსიტეტში

სტუდენტთა მხრიდან ყველაზე აქტიუალურ და გასაუმჯობესებელ მხარედ დაფიქსირდა LMS ანგარიშის გამართულად მუშაობა, სარეკრეაციო ზონის გაუმჯობესება, პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების გაზრდა, კვლევითი ლაბორატორიების ხარისხი და სხვ.

სტუდენტების ზოგიერთი კომენტარი:
ვებგვერდის და ლმს.თსუს გამართულად მუშაობა

ინფრასტრუქტურა
სარეკრეაციო ტერიტორიების გაუმჯობესება (კაფეტერია)
ცხრილის გაუმართავობა
პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას უნდა გვთავაზობდეს უნივერსიტეტი; უნდა გვთავაზობდეს პროფესიული ინგლისურის სწავლის შესაძლებლობას; ინგლისურის ზოგადი კურსიც, ამასთან, უნდა იყოს მაღალი დონის, რომ ნამდვილად იძლეოდეს ენის ათვისების საშუალებას.
ეფექტური სწავლება, საერთაშორისო შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის მიღება, უცხო ენების შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტად და არა მხოლოდ 2 სემეტრის განმავლობაში. სწავლება უნდა გახდეს უფრო მეტად ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. 2. გაღრმავდეს თანამშრომლობა ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან სწავლების ხარისხის სტანდარტების გათანაბრების კუთხით.
გამოცდების გადატანა ზედმეტი გართულებების გარეშე
ქულების დროული დადება სტუდენტის გვერდზე,გამოცდის გადატანა სამსახურის ცნობით,ლოგიკურად გადანაწილება საგამოცდო დღეების.
კვლევითი ლაბორატორიების ხარისხი.
ბიბლიოთეკის სამუშაო საათების გაზრდა; წიგნების ელექტრონული ვერსიების არარსებობა, ბიბლიოთეკის მოწესრიგება - მეტი წიგნით მომარაგება, წიგნების გატანის დაშვება

8. რატომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეკითხვაზე „რატომ ურჩევდით სხვა აბიტურიენტ(ებ)ს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას?“ სტუდენტთა მხრიდან დასახელდა სხვადასხვა ფაქტორი, რომელთა შორისაა თსუ-ს იმიჯი, როგორც ქვეყანის შინგით ისე გარეთ; უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლოებები; მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრი და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობები.

სტუდენტების ზოგიერთი კომენტარი:
პრობლემა ყველა უნივერსიტეტშია. თსუ-ში სწავლა გამოირჩევა კონკურენტუნარიანობით. აქ უამრავი ნიჭიერი სტუდენტი სწავლობს და მოტივაცია გიჩნდება, რომ არ ჩამორჩე მათ და შენი თავი განავითარო. თუ თსუ არსებულ პრობლემებს გაუმკლავდება და დროს ფეხს აუწყობს, ის ნამდვილად დაიკავებს საქართველოში და არა მხოლოდ აქ, პირველ ადგილს.
მიიღებენ იმ განათლებას, რომელიც ცხოვრებაში გზას გაუკვალავს... ისწავლიან როგორ უნდა იბრძოლონ საკუთარი თავის "გადასარჩენად" ცხოვრრბაში, გაიცნობენ ლექტორებს წლების ისტორიით... რომელიც თავს შეგაყვარებენ... ისინი ხომ იმ ასწლოვანი უნივერსიტეტის ნაწილნი არიან, რომელიც ჩვენთვის დაუზოგავად შრომობს.
სწავლის მაღალი ხარისხისა და აკადემიური პერსონალის გამო.
ჩემს ფაკულტეტზე (იურიდიული) ჩაბარებას ვურჩევდი. ამის ერთადერთი მიზეზის არსებობს, მაღალი დონის აკადემიური პერსონალია და საკმაოდ ძლიერ სტუდენტებთან ერთად გიწევს სწავლა, რაც არ აძლევს სტუდენტს “მოდუნების” საშუალებას.
თსუ მისი საერთაშორისო კავშირებიდან გამომდინარე, მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებს გვთავაზობს. კონკრეტული ფაკულტეტები ჩემი აზრით აკადემიური კუთხით საქართველოში საუკეთესოა.
მაღალკვალიფიციური ლექტორები, რომლებიც მართლა დიდი გამოცდილებითა და ერუდიიცით გვხვდებიან უნივერსიტეტში და გვასწავლიან არის მთავარი მიზეზი რის გამოც ვურჩევდი აბიტურიენტებს თსუ-ში ჩაბარებას
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის გარკვეული პრობლემები, თუმცა ამ პრობლემების ფონზეც თსუ

საქართველოს მასშტაბით ნომერ პირველი უნივერსიტეტია, სადაც მაღალი ხარისხის განათლების მიღებაა შესაძლებელი. თსუ-ს ძლიერი აკადემიური პერსონალი ჰყავს. ამასთან, თსუ-ში სწავლობენ საქართველოს ყველაზე მაღალქულიანი აბიტურიენტები, რომელთა უმრავლესობას სახელმწიფო გრანტი აქვს. ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო პროცესში სტუდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, რაც თითოეულ სტუდენტში უფრო მეტი ცოდნის მიღებისკენ სწრაფვას წარმოშობს.
სწავლის შესაძლებლობა სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით მეტად გვეძლევა, თუნდაც ეს გამოცდები არ მისცემთ საშუალებას არ სწავლის.
რაც ყველაზე მთავარია, თსუ-ში სასწავლო პროცესი არის პასუხისმგებლიანი სტუდენტის მიმართ, ორიენტირებული სტუდენტზე, საკუთარ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და პროფესიონალი ლექტორები კი, რომელთაც უყვართ თავიანთი საქმე, კიდევ უფრო აყვარებენ სტუდენტებსაც არჩეულ პროფესიას. ამასთან, იყო სტუდენტი/კურსდამთავრებული საუკუნოვანი ისტორიის მქონე უნივერსიტეტის, რომელსაც აქვს უზარმაზარი გამოცდილება და უამრავი უკვე მიღწეული შედეგი, პრიორიტეტულია დამსაქმებლებისთვის.
ყველაზე ძლიერი ლექტორები, განათლების ხარისხი, აქტივობები საგანმანათლებლო და გასართობი და ა.შ.
სწავლის მაღალი ხარისხის გამო ვთვლი რომ თბილისის სახელმწიფო პირველ ადგილას არის
რადგან თუ გაქვს სწავლის სურვილი და აირჩევ შესაბამის ლექტორს, დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა რომ მიიღებ კარგ განათლებას, რადგან ლექტორების უმეტესობა ძალიან მეგობრულია, მხიარულია, აკადემიური, პროფესიონალი და თავაზიანია . უნივერსიტეტი ლმს-ის საშუალებით გაწოდებს სხვადასხვა სამუშაოებს, სტაჟირებებს, "ივენთებს", პროექტებს, რაც ძალიან კარგია. აგრეთვე ძალიან აქტიურია სტუდენტური ცხოვრება, თითქმის ყოველდღე რაღაც აქტივობაა დაგეგმილი. ამასთანავე, შეიძლება ითქვას კვირაში ერთხელ არის საკმაოდ მაღალი დონის, გასართობი კულტურული ღონისძიებები დაგეგმილი.
იმიტომ რომ ეს თსუა
გარკვეული სკოლების მიმართულებით, როგორებიცაა საერთაშორისი ურთიერთობების, სამართალის, საერთაშორისო სამართალისა თუ სხვა, ვფიქრობ, რომ თსუ გამორჩეულია თავისი პროფესურით, სასწავლო პროგრამითა და სწავლების ხარისხით უმეტეს შემთხვევაში. თუმცა საჭიროებს ახალი მიდგომების დანერგვასა და არსებულის გაუმჯობესებას.
იმიტომ რომ ყველაზე პრესტიჟიული უნივერსიტეტია და უმაღლესი ცოდნის მიღებისათვის უნდა აირჩიონ.
გამოცდილი და კომპეტენტური ლექტორების გამო, რომლებიც ხარისხიან განათლებას იძლევიან და მუდამ მზად არიან სტუდენტს გაუწიონ კონსულტაცია.
პირველ რიგში, ის სახელმწიფო უნივერსიტეტია, სწავლის ხარისხიც სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით მაღალია.
ერთადერთი, რაც ნამდვილად მომწონს არის გამოცდების სისტემა, რადგან ვფიქრობ მინიმალური შესაძლებლობაა გადაწრის და თავისთავად იმის შანსი მაღალია, რომ გამოიცხიროლოს ის მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად არ არიან ჩაბმულნი საგანმანათლებლო პროცესში.
იმიტომ რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია
ერთადერთი რის გამოც ვურჩევდი ჩაბარებას ეს არიან ლექტორები და თავად სტუდენტები, რომლებშიც უდიდესი პოტენციალი და ინტელექტი დევს.
პროფესიონალი ლექტორების და სწავლის ხარისხიანობის გამო.
ხარისხი, სტატუსი.
აქ არის გარემო,რომელის გამოც ღირს ნადვილად ჩავარება,ხოლო ამ გარემოს ქმნიან თავად სტუდენტები.
რადგან ჩემი მოლოდინები გამართლდა და ვფიქრობ, რომ სათნადო და მაღლი განათლების მიცემა შეუშლია ყველასთვის, ვინც ამ უნივერსიტეტში ჩაირიცხება.
თსუ მხოლოდ უნივერსიტეტი არ არის, თან აქ არიან მართლა ღირსეული და პროფესიონალი პროფესორები ყველაფრის მიუხედავად. გარდა ამისა, ასეა თუ ისეა, მაინც კონკურენტუნარიანი გარემოა, რადგან ჭკვიანი და მოტივირებული სტუდენტები სწავლობენ. გაცვლითი პროგრამების დიდი შანსია და ა.შ.
ქართულ რეალობაში საუკეთესო უნივერსიტეტია.
პრესტიჟი, გამჭვირვალეობა, ცოდნა.
სხვა უნივერსიტეტებზე მაღლა დგას როგორც სწავლის დონით, ისე იმ სტუდენტებით, რომელსაც ის აერთიანებს.

პირველ რიგში იმიტომ, რომ თეორიულ ცოდნას მართლა საუკეთესოს იღებ, მეორე სწავლობ დამოუკიდებლობას, რადგან იმდენი სტუდენტია შენთვითონ თუ არ გაიკვალე გზა არავინ დაგიჯდება და ნაბიჯ-ნაბიჯ არ გეტყვის რა უნდა ქნა, ერთის მხრივ შეიძლება ეს უნიევრსიტეტის მინუსად ჩათვალო მაგრამ პიროვნულად ძალიან გზრდის. მესამეს მხრივ თუ არ ისწავლე მართლა ვერ მოიპოვებ კრედიტს გამოცდების ისეთი სისტემაა, რასაც მე ვემხრობი. მეოთხე გადასახადი მინიმალურია, გაძლევს საშუალებას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის, თუ სურვილი და შესაბამისი უნარი გაგაჩნია და პროფესიულად ნამდვილად გზრდის.
ეს უნივერსიტეტი გვაძლევს მრავალმხრივ ცოდნას, რომელიც დაგვეხმარება შემდეგ საფეხურებზე გადასვლაში. ყავს კვალიფიციური ლექტორები. ზრუნავს განვითარებაზე და ღიაა სიახლეებისადმი.
სხვა აბიტურიენტებს ვურჩევდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას ,რადგან თსუ-ის ლექტორები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით და ნამდვილად დიდი ბედნიერებაა ასეთი ლექტორების ლექციების მოსმენა. განსაკუთრებული პატივისცემა ჩემგან ბატონ იაგო კაჭკაჭიშვილსა და ზურაბ ტატანაშვილს ძალიან საინტერესო ლექციებისათვის.
აქ ჩაბარება იმ რეპუტაციის გამო ღირს, რომელსაც ეფექტი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს და შესაბამისად თსუს დიპლომი ასე თუ ისე ეფექტურია. ასევე, აღსანიშნავია ლექტორების კომპეტენცია რომელიც სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია.
ჰყავს მაღალ კვალიფიციური პედაგოგები. თსუ არის ის ადგილი, სადაც მიღებულ ცოდნას აუცილებლად გამოიყენებს სტუდენტი მომავალში. თსუ #1 უნივერსიტეტია საქართველოში.
რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ შესაძლებლობებს გვთავაზობს, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაშიც აბიტურიენტი აუცილებლად მიაღწევს შესაძლებლობების მაქსიმუმს.